

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1  
2023 წლის 9 იანვარი

## ქ. ლაგოდეხი

**„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 აგვისტოს №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 აგვისტოს №43 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 25/08/14, 010250050.35.167.016155).

### მუხლი 2

შეიცვალოს დადგენილების პრეამბულა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

